თეატრი და ცხოვრება

სათეატრო და ლიტერატურო ჟურნალი

შაბათი, 30 მაისი | მიიღება ხელმოწერა 1915 წ. „თეატრი და ცხოვრება"-ზე | № 22 —1915

მომღერალ-დეკლამატორი
სანდრო კავსაძე
ორშაბათს, 3 ივნისს, სახალხო სახლ-
ში ქართულ კონცერტის გამართვის გამო.

ეს ნომერი გამოვიდა შაბათს, 30 მაისს

სახალხო სახლი

ოთხშაბათს, 3 ივნისს (თიბათვეს) ნიკოლოზ კავსაძე ჰმართავს

ქართულ კონცერტს

4 განყოფილებად, ცნობილ მომღერალ სანდრო კაესაძის ლოტბარობით

კონცერტის წინ კომპოზიტორი კ. ფოცხვერაშვილი წაიკითხავს ლექციას „ქართული ხალხური მუსიკა“. პროგრამაში შედის საქართველოს ყველა კუთხის ახალი სიმღერები როგორც ქართლ-კახური ისე იმერული. სანდრო და ნ. კავსაძენი შეასრულებენ დუეტს „ზამთარიო“-ს.

სანდრო კავსაძე შეასრულებს სიმღერებს „გადმიშვი მთაო“, „ურმულს“ და ბატარა კახიდან სოლოს „დაიგვიანეს“ გუნდის დახმარებით

მეოთხე განყოფილებაში გუნდი გამოწყობილ გლეხურ ტანისამოსში შეასრულებს სოფლის ცხოვრებიდან სცენას „დღეობას“ სიმღერა თამაშობით.

ძმ. ანდრო და ნიკო კავსაძენი, ი. ფხალაძე და ა. შანშიაშვილი შეასრულებენ კვარტეტს „სალამს გიძღვნი“.

გუნდი გამოწყობილ იქნება ეროვნულ ტანისამოსში (ქულაჯა და გლეხური)

ადგილების ფასი 3 მან. 10 კ-დე. ═ ბილეთები იყიდება მხოლოდ თეატ. კასაში დაწვრილებით პროგრამაში. ═ დასაწყისი საღ. 8 სათზე. ═ გამგე ნ. კავსაძე

სახალხო სახლი

შაბათს, 30 მაისს,

ნ. ჩხეიძის წარმოდგენა

ჯიოკონდა

ტრაღედია 5 მოქ. თარგმანი პ. დადვაძისა

მონაწილეობენ: ქ-ნნი: ნ. თოიძე, ნ. გამრეკელ-თორელი, ა. ქიქოძე, ნ. ჩხეიძე, მედეა ქორელი; ბ-ნნი: ალ. იმედაშვილი, პ. კორიშელი, ჭიაურელი

ლუჩიოს როლს შეასრულებს ალ. იმედაშვილი

სილვიას ——————— ნ. ჩხეიძე

ადგ. ფასი 1 მ. 50 კ-დან 10 კ-დე

დასაწყისი საღ. 8 სათზე.

რეჟ. მ. ქორელი

ძ. თელავის საკრებულო დარბაზში

ქართველ მსახიობთა ამხანაგობის მიერ, 6 ივნისს სეზონის დასაწყებად წარმოდგენილი იქნება ნ. შიუკაშვილის ორიგინალური პიესა

„ცისცინათელა“

მონაწილეობენ: ქ—ნი ნ. ჩხეიძე, ს. ბეჟანიშვილი, ნ. თოიძე, ალ. იმედაშვილი, პ. კორიშელი, მ. ქორელი და სხ.

რეჟისორი მ. ქორელი

ბაკურციხეში 6 ივნისს შაბათს | შალვა დადიანის თაოსნობით აჭარლებისა და ქართული თეატრის სასარგებლოდ წარმოდგენილი იქნება

უნიადაგონი

პიესა ვ. შალიკაშვილისა.

ყოველდღიური საპოლიტიკო, სამეურნეო და ს ლიტერატურო გაზეთი

ახალი ქართლი

ფასი: ერთის წლით 5 მან., 6 თვით 3 მან., სამის თვით 1 მ. 50 კ., ერთის თვით 50 კ.

ხელის მოწერა მიიღება „ახალი ქართლი“-ს კანტორაში, ვორი, სამეფო ქ. № 15

---

24 მაისიდან თბილისში გამოდის ნაცვლად „კლდისა“ ყოველ დღიური გაზეთი

საქართველო.

წლის დამლევამდე 5 მ. „კლდის“ ხელისმომწერთ, რომელთაც მთელი წლის ფული აქვთ გადახდილი, გაზეთი გაეგზავნებათ 3 მკათათვემდე. (ადრესი Тифлисъ. Московская, 4).

რედ.-გამომცემელი სანდრო შანშიაშვილი

№ 22

ᲬᲚᲘᲣᲠᲐᲓ 5 მ., ᲮᲐᲖᲕᲐᲠ ᲬᲚᲘᲗ 3 მ., ᲪᲐᲚᲙᲔ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ 10 კ. ᲮᲔᲚᲘᲡ ᲛᲝᲬᲔᲠᲐ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲐ „ᲡᲝᲠᲐᲞᲐᲜ“ᲘᲡ ᲡᲢᲐᲛᲑᲐᲨᲘ. ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: Тифлисъ Ред.„Театри да Цховреба“ І. Имедашвили

ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲘ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ

ᲮᲔᲚ-ᲛᲝᲣᲬᲔᲠᲔᲚᲘ ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘ ᲐᲠ ᲓᲐᲘᲑᲭᲓᲔᲑᲐ.—ᲮᲔᲚᲗᲜᲐᲬᲔᲠᲔᲑᲘ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲔᲑᲘᲡᲐᲛᲔᲑᲠ ᲨᲔᲡᲬᲝᲠᲓᲔᲑᲐ.—ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲗᲐᲜ ᲞᲘᲠᲘᲡᲞᲘᲠ ᲛᲝᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲔᲑᲐ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ „ᲡᲝᲠᲐᲞᲐᲜᲘᲡ“ ᲡᲢᲐᲛᲑᲘᲡ ᲙᲐᲜᲪᲔᲚᲐᲠᲘᲐᲨᲘ—ᲓᲘᲚᲘᲗ 9—2 Ს., ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲗᲘ 5—7 Ს., ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ № 15-41

№ 22 ᲨᲐᲒᲐᲗᲘ 30 ᲛᲐᲘᲡᲘ 1915 Წ.

30 ᲛᲐᲘᲡᲘ

ᲨᲝᲠᲡ ᲤᲣᲥᲡᲐᲕᲐᲢᲝᲑᲐ!..

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ ᲘᲛᲓᲔᲜᲐᲓ ᲒᲐᲠᲗᲣᲚᲓᲐ, ᲐᲘᲡᲔᲠ ᲓᲐᲘᲡᲔᲠᲐ, ᲘᲛᲓᲔᲜᲘ ᲛᲬᲕᲐᲕᲔ ᲙᲘᲗᲮᲕᲐ ᲒᲕᲐᲥᲕᲡ ᲒᲐᲡᲐᲠᲙᲕᲔᲕᲘ, ᲠᲝᲛ ᲓᲘᲓᲘ ᲪᲝᲓᲕᲐ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲬᲔᲠᲚᲝᲑᲐ ᲡᲐᲚᲐᲧᲑᲝᲓᲐ ᲓᲐ ᲡᲪᲔᲜᲐ—ᲣᲥᲛᲐᲓ ᲓᲠᲝᲡ ᲒᲐᲡᲐᲢᲐᲠᲔᲑᲔᲚ ᲐᲓᲒᲘᲚᲐᲓ ᲒᲐᲠᲓᲐᲥᲪᲔᲡ.

ᲡᲣᲑᲣᲥ ᲤᲐᲠᲡ-ᲕᲝᲓᲔᲕᲘᲚᲔᲑᲡ ᲐᲜᲣ ᲝᲠᲐᲖᲠᲝᲕᲜᲣᲚ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲐᲜ ᲞᲘᲔᲡᲔᲑᲡ ᲩᲕᲔᲜᲡ �თᲔᲐᲢᲠᲨᲘ, ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ ᲡᲪᲔᲜᲔᲑᲖᲔ, ᲡᲣᲚ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲰᲥᲝᲜᲓᲔᲡ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ...

ᲔᲠᲗᲐᲓᲔᲠᲗᲘ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲐᲚᲛᲠᲗᲔᲚᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ ᲩᲕᲔᲜᲨᲘ—ᲩᲕᲔᲜᲘ �თᲔᲐᲢᲠᲘᲐ: ᲛᲐᲧᲣᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲐᲥ ᲣᲜᲓᲐ ᲤᲐᲥᲘᲖᲓᲔᲑᲝᲓᲔᲡ ᲖᲜᲔᲝᲑᲠᲘᲕᲐᲓ, ᲛᲐᲚᲚᲓᲔᲑᲝᲓᲔᲡ ᲡᲣᲚᲘᲔᲠᲐᲓ, ᲒᲐᲜᲘᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲓᲔᲡ ᲮᲐᲡᲘᲐᲗᲘᲗ, ᲓᲐ ᲐᲥ ᲗᲣ ᲤᲣᲥᲡᲐᲕᲐᲢᲝᲑᲐ-ᲣᲬᲛᲐᲬᲠᲝᲑᲐᲡ ᲣᲩᲕᲔᲜᲔᲑᲗ,—ᲘᲡᲔᲗᲘ ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲝᲑᲐ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲒᲐᲡᲬᲝᲠᲔᲑᲐ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲨᲘ ᲫᲕᲘᲠᲐᲓ ᲓᲐᲣᲯᲓᲔᲑᲐ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲮᲐᲚᲮᲡ...

ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲡᲐᲡᲪᲔᲜᲝ ᲛᲝᲦᲕᲐᲬᲔᲗ, ᲓᲐᲑᲐ-ᲡᲝᲤᲚᲔᲑᲨᲘ ᲗᲣ ᲥᲐᲚᲐᲥᲔᲑᲨᲘ ᲛᲝᲛᲣᲨᲐᲕᲔᲗ, ᲙᲘᲓᲔᲕ ᲔᲠᲗᲮᲔᲚ ᲛᲝᲕᲐᲒᲝᲜᲔᲑᲗ, ᲠᲝᲛ ᲓᲘᲓᲘᲡ ᲛᲝᲠᲘᲓᲔᲑᲘᲗ ᲛᲝᲐᲞᲧᲠᲐᲜ �თᲔᲐᲢᲠᲗᲐᲜ ᲨᲔᲣᲩᲕᲔᲕᲔᲚ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲒᲠᲫᲜᲝᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲘᲡᲔᲗᲡ ᲜᲣᲠᲐᲓ ᲤᲔᲠᲡ ᲓᲐᲡᲓᲒᲐᲕᲔᲜ ᲡᲪᲔᲜᲐᲖᲔ, ᲠᲐᲪ ᲔᲠᲗᲘᲡ ᲛᲮᲠᲘᲗ ᲠᲝᲛ �თᲔᲐᲢᲠᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲚ ᲐᲛᲚᲛᲠᲗᲔᲚᲘᲐᲜᲘᲗᲘ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲘᲗ ᲓᲐᲡᲪᲔᲛᲡ, ᲛᲔᲝᲠᲘᲗ—ᲛᲐᲧᲣᲠᲔᲑᲔᲚᲡ ᲤᲣᲥᲡᲐᲕᲐᲢᲝᲑᲘᲡ ᲛᲔᲢᲡ ᲐᲠᲐᲡ ᲨᲔᲡᲫᲔᲜᲡ...

ᲨᲝᲠᲡ ᲤᲣᲥᲡᲐᲕᲐᲢᲝᲑᲐ... ᲐᲠᲐ ᲔᲠᲗᲒᲖᲘᲡ ᲒᲕᲘᲗᲥᲕᲐᲛᲡ ᲓᲐ ᲙᲘᲓᲔᲕᲐᲪ ᲒᲐᲕᲘᲛᲔᲝᲠᲔᲑᲗ, ᲠᲝᲛ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲔᲚᲞᲝᲛᲔᲜᲘᲡ ᲢᲐᲫᲐᲠᲘ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗ ᲘᲓᲔᲣᲠ-ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘᲐᲜ ᲞᲘᲔᲡᲔᲑᲘᲡ ᲛᲮᲐᲢᲕᲠᲣᲚᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲓᲒᲔᲜᲘᲗ ᲣᲜᲓᲐ ᲣᲛᲐᲡᲞᲘᲜᲫᲚᲓᲔᲑᲝᲓᲔᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲡ ᲛᲠᲔᲕᲚᲡ...

ᲓᲐ ᲐᲛ ᲒᲖᲐᲡ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲓᲐᲣᲮᲕᲘᲝᲡ ᲐᲠᲪ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲝᲮᲕᲔᲭᲘᲚᲛᲐ ᲡᲪᲔᲜᲘᲡ ᲥᲣᲠᲣᲛᲛᲐ ᲓᲐ ᲐᲠᲪ ᲡᲪᲔᲜᲘᲡ ᲛᲝᲧᲕᲐᲠᲔᲛ...

ᲬᲛᲘᲓᲐ ᲡᲐᲛᲡᲮᲕᲔᲠᲞᲚᲝᲡ — ᲬᲛᲘᲓᲐ ᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘ

ᲜᲘᲜᲝ ᲩᲮᲔᲘᲫᲔ

ᲡᲐᲡᲪᲔᲜᲝ ᲛᲝᲦᲕᲐᲬᲔᲗᲘᲡ 20 ᲬᲚᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ.

ᲘᲔᲠᲝ ᲫᲕᲔᲚᲐᲓ ᲠᲝᲛ ᲨᲔᲛᲬᲛᲘᲓᲐ ᲡᲐᲛᲡᲮᲕᲔᲠᲞᲚᲝᲡ ᲣᲛᲜᲘᲙᲝ ᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘ ᲥᲐᲓᲘ—ᲒᲕᲔᲡᲐ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲐᲠᲐᲛᲘᲡᲐᲛᲔᲑᲠ ᲓᲠᲝᲡ ᲛᲝᲮᲣᲢᲔᲑᲘᲡᲐᲛᲓᲔ ᲠᲩᲔᲑᲝᲓᲐ ᲢᲐᲫᲐᲠᲨᲘ ᲓᲐ ᲡᲚᲔᲠᲐᲯᲝᲑᲓᲐ ᲬᲛᲘᲓᲐ ᲗᲔᲗᲠᲚᲡ, ᲠᲝᲛ ᲐᲠ ᲩᲐᲛᲥᲠᲐᲚᲓᲘᲝᲗ...

ᲡᲐᲡᲮᲝᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲛᲮᲘᲠᲫᲐᲚᲔᲑᲘᲗ ᲘᲪᲐᲕᲓᲐ ᲢᲐᲫᲐᲠᲘᲡ ᲡᲘᲬᲛᲘᲓᲔᲡ, ᲗᲔᲗᲠᲚᲘᲡ ᲩᲐᲣᲥᲠᲝᲑᲓᲝᲑᲡ.

ᲡᲬᲝᲠᲔᲚᲐᲓ ᲐᲡᲔᲗᲘᲐ ᲩᲕᲔᲜᲘᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ ᲡᲐᲙᲣᲠᲗᲮᲔᲕᲔᲚᲨᲘ ᲜᲣᲪᲐ ᲩᲮᲔᲘᲫᲔ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲐᲠᲐᲛᲘᲡᲐᲛᲔᲑᲠ ᲓᲠᲝᲡ ᲛᲝᲮᲣᲢᲔᲑᲘᲡᲐᲛᲓᲔ ᲠᲩᲔᲑᲝᲓᲐ ᲢᲐᲫᲐᲠᲨᲘ ᲓᲐ ᲡᲚᲔᲠᲐᲯᲝᲑᲓᲐ ᲬᲛᲘᲓᲐ ᲗᲔᲗᲠᲚᲡ, ᲠᲝᲛ ᲐᲠ ᲩᲐᲛᲥᲠᲐᲚᲓᲘᲝᲗ...

ᲘᲔᲠᲝ ᲩᲕᲔᲜᲘᲡ ᲡᲐᲡᲪᲔᲜᲝ ᲛᲝᲦᲕᲐᲬᲔᲗᲘᲡ 20 ᲬᲚᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ ᲡᲐᲖᲔᲓᲠᲣᲚᲘ ᲓᲦᲔ ᲐᲠᲘᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲦᲔᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲝᲛᲐᲛᲐᲕᲚᲔᲑᲘᲗ ᲓᲦᲔᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲜᲘᲛᲠᲗᲔᲚᲘ ᲓᲦᲔᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲘᲡ ᲯᲘᲚᲓᲝᲓᲐ—ᲛᲣᲓᲛᲘᲕᲘ ᲡᲣᲚᲘᲔᲠᲘ ᲛᲝᲙᲚᲔᲝᲑᲐ,—ᲐᲰᲐ ᲕᲘᲜ ᲐᲠᲘᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲪᲔᲜᲘᲡ ᲕᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲘ—ᲜᲣᲪᲐ ᲩᲮᲔᲘᲫᲔ...

ᲛᲝᲓᲒᲐᲜᲘᲗ ᲣᲜᲓᲐ ᲣᲛᲐᲡᲞᲘᲜᲫᲚᲓᲔᲑᲝᲓᲔᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲡ ᲛᲠᲔᲕᲚᲡ...

ᲓᲐ ᲐᲛ ᲒᲖᲐᲡ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲓᲐᲣᲮᲕᲘᲝᲡ ᲐᲠᲪ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲝᲮᲕᲔᲭᲘᲚᲛᲐ ᲡᲪᲔᲜᲘᲡ ᲥᲣᲠᲣᲛᲛᲐ ᲓᲐ ᲐᲠᲪ ᲡᲪᲔᲜᲘᲡ ᲛᲝᲧᲕᲐᲠᲔᲛ...

ჩვენი სულიერი ტკბობისა სამაგიეროდ იგი თითქმის მუდამ სამშობლო სტენის ნარეკლიანი გზით ვიდოდა, სრულგანვითარებაში მხოლოდ ახლა შესული, დამის მოიქანცა, მოტეხა, და, როგორც შეგვიტყეთ, განუზრახავს სტენას განშორდეს და საზოგადოებასთან გამოსათხოვარად დღეს შაბათს, 30 მაისს, სახალხო თეატრში წარმოადგინოს „ჯიოკონდა“

ნუმც იქნების ეგე!

დღეს, 30 მაისს, ქართველი საზოგადოება კიდევ ერთხელ დასტკბებანუცს თამაშით სახალხო თეატრში და დარწმუნდება, რომ იგი —ნუცა ჩხეიძე ჯერ კიდევ დიდხანს იქნება ჩვენის სტენის უსაჭიროესი ძვირფასი თვალი და სიამაყე...

ჩვენის მხრით, დამსახურებულ მსახიობქალს უსურვებთ ხანგრძლივ სიცოცხლეს, რომ დღეის შემდეგაც ისევე მადა ეჭიროს და ეტარებინოს სამშობლო ხელოვნების დროშა, როგორც დღემდე...

ხ ე ლ ე ბ ი

შეთენდა. —

ქალაქის განაპირა უბნები ახმაურდნენ. მუდმივ ჯაფისაგან დაღლილ-დათენთილი მუშა ხალხი მძიმე ზლაზვნით გამოიშალა და ცარიელი ქუჩები შავად დაჰფარა.

გაჩაღდა. —

ელვის სისწრაფით ამოძრავდნენ ფოლადის ვეება მანქანები.

გუგუნებს უზარმაზარი ყაზარმული ქარხანა. გუგუნებენ და მღერიან მუშები.

—

— ხელები, დედავ! ხელ... ი კივლა ვილაცამ და წაიქცა.

— შეჩერდით! კაცი მოკვდა! — დაიძახა მეორემ და ყველაფერი შესწყდა, დაყრუვდა. —

— საცოდავო, შენს ოჯახს რაღა პასუხი გავსცეთ? — გულის კვნესით წარმოსთქვეს დამწუხრებულმა მუშებმა და წყეულ მანქანისაგან ხელებ წაგლეჯილი ამხანაგის უსულო გვამი სიმწრის ცრემლებით დაიტირეს...

გ. ქუჩიშვილი

ზ ლ ა პ ა რ ი

ღელავს ეთერი და ფოთოლთა ზღვაც,
ლურჯ ფოთოლთ, აზღვაც ღელავს ტივტივებს,
ეთერი — ყვავილთ ფერად ლოყებზე
ამტვრევს, აცურებს ვერცხლისფერ მძივებს...
ვით ნორჩი გული, ტრფობით აღსავსე —
(პირველად ეჭვიც რომ ესტუმრება) —
ისე ცახცახებს ვარდის კოკორი
როცა ეთერი გაეხუმრება...

— —

ეთერი ყვავილთ ჯადო სურნელმა
ეშხით დაათრო და გააბრუა —
ეთერმა ყვავილთ, თვის ბედის წერის
ზღაპარი უთხრა, ვეღარ იცრუა: —

„თუ ახლა მათრობთ, თუ ახლა გათრობთ
და გარს გევლებით ვნების ამშლელად,
არ დაივიწყოთ რომ ისევ მალე
მოგევლინებით მე გულცივ მკვლელად,
ჩემი ორთქლის ფრთა ეკლად იქცევა,
ალერსი ჩემი სიცივის გველად,
დაგასნეულებთ და მერე რისხვით
დაქროლავთ მიწით ამოსაგველად!..“

***

როგორც ეთერი, ჩემს გულშიც ისე
ღელავდა პირველ სიყვარულის დღე
და როგორც ყვავილს ეშხ-სილამაზე —
თან ისე მდევდა გრძნობით სამოთხე —
მაშინ ხან-წუთი საუკუნობდა,
ხან ჟამი წუთზე უმალეს რბოდა,
მაგრამ ამავ დროს როგორც ეთერი —
ვილაც რაღაც მეუბნებოდა —

ალბად ამ ზღაპარს თუ მომითხრობდა
ის მაცდური დღე, დღე იგი ბრძენი.
მაგრამ ეჰ: ჩემში ყველა გათავდა —
გვიან გავიგე, გვიან ვიგრძენი!..



ცნობილი სოფერო მსახიობი (ბასი)
ი. ტომაშევიჩი
ახლახან ჩამოვიდა თბილისს. მოკლე ხანში მონაწილეობას მიიღებს ქართულ საქველმოქმედო და საკულტურო დაწესებულებათა სასარგებლოდ გამართულ კონცერტებში.

რქიანი მეფე

(ხალხში გაგონილი)

შორეულ წარსულში ერთ მეფეს თავზე რქა ება. იმ მიზნით რომ ეს ამბავი არავის შეეტყო, მეფის განკარგულებით ყველა დალაქს, რომელიც კი მეფეს თავს მოჰკრეჭდა, უმალ თავს მოჰკვეთდენ ხოლმე. ერთხელ დალაქის მოყვანასთან ერთად მეფეს აუწყეს, რომ მის სამეფოში მხოლოდ ეს ერთად ერთი დალაქი ღა აღმოაჩინეს. მეფე შეშინდა, უდალაქოდ არ დავრჩეო და სხვა საშუალება გამონახა რქის დასაფარავად—დალაქს სასტიკად აუკრძალა რქის შესახებ ლაპარაკი და ასრულებისთვის მრავალი საჩუქარი აღუთქვა. საჩუქრების აღთქმამ დალაქზე გავლენა მოახდინა და ცდილობდა მეფის რქიანობაზე ჩუმად ყოფილიყო, მაგრამ გული არ უსვენებდა. დალაქს თანდათან გაუძნელდა საიდუმლო და ერთხელ გადაწყვიტა წასულიყო სოფლიდან შორს სადმე მთებში, კლდე-ღრეში – უხალხო ადგილას და იქ ეთქვა. ასეც მოიქცა, ავიდა კლდეზე და ლერწმიანს ჩასჩურჩულა: »ჩვენს მეფეს რქა აბია.« დალაქმა თავისუფლად ამოისუნთქა, – გულზე მოეშვა და დაბრუნდა სახლში დამშვიდებული!

მეორე დღეს ჩ-მოიარა ერთმა მწყემსმა და იმ ადგილას ლერწმის სალამური გამოსჭრა. როდესაც სალამური მზად იყო დასაკრავად და მწყემსმა ჩაჰბერა, სალამურიდან გაისმა: »ჩვენს მეფეს რქა აბია“, „ჩვენს მეფეს რქა აბია«. რავდენათაც უკვირდა მწყემს სალამურის არა ბუნებრივობა, იმდენად უხაროდა რომ თვითონ იყო პატრონი ასეთი საკვირველებისა. გახარებულმა მიაშურა სოფელს, რათა აღტაცებაში მოეყვანა ხალხი.

ამ ამბავმა მეფემდე მიაღწია. მეფე საშინლად გაწყრა; დალაქს თავი მოჰკვეთა, მწყემსი ჩამოაღრჩო და სალამური ცეცხლში დასწვა, მაგრამ გვიანღა იყო, უკვე ყველასთვის ცხადი გამხდარიყო მეფის რქიანობა და ყველა იქ მოპრილი ლერწმის სალამური ამასვე ადასტურებდა.

მ. ველისციხელი

მხატვარი ვანო

(გაგრძელება. იხ. „თ. და ც.“ № 18)

II

ვანო მდიდარი აზნაურის შვილი იყო. ის ისევ ბალღი იყო, როცა მამა მისმა მთელი საცხოვრებელი გაფლანგა. . გაფლანგა ქალაქში ქალებსა და დუდუკში... ბოლოს, როცა შეატყო, რაც ჩაიდინა, ველარ აიტანა და სიცოცხლეს თვითონვე გაუსწორდა... ახალგაზდა ცოლმაც ველარ აიტანა ასეთი მეხი და ისიც მალე ჯავრს გადაჰყვა... დარჩა ვანო, დარჩა უსახსრო,.. მაგრამ ბიძამ, რომელიც რუსეთის ერთს ქალაქში მსხვილი მოხელე იყო, შეიცოდა დისწული და თვისთან წაიყვანა... აღზარდა. გიმნაზია დაასრულებინა... ვანომ გიმნაზიაში გამოიჩინა მხატვრობისაკენ მიდრეკილება. დაასრულა გიმნაზია და სამხატვრო აკადემიაში გაემგზავრა... იქიდან საზღვარ გარედ...

გატაცებული იყო ვანო. საყვარელ საქმეს ყველაფერს ანაცვალებდა...

მისი რამდენიმე ესკიზი თბილი გამაცებით იყო სავსე... ამით მან საზოგადოების ყურადღება მიიქცია ..

მაგრამ რაღაც აკლდა მას, რაღაც, რომელიც აფრთოვანებს შემოქმედს – დიდი რამის შესაქმნელად... ეს მშობლიური სული იყო, რომელიც თვისკენ იწვევდა ვანოს, რომ შთაებერა მისთვის ზელამაფრენა...

და ეს მშობლიური მოწოდება მას სწვამდა. იშოვა თავისუფლება და სამშობლოს მოაშურა ..

სოფელს ესტუმრა... აღარაფერი ჰქონდა აქ, მაგრამ განა ყველაფერი მისი არ იყო?!

დანგრეული დახვდა მშობლიური ბუდე! მაგრამ მაინც მის ახლო ყოფნა ათბობდა.

სევდით დაჰყურებდა ხოლმე დიდს ტყეს, რომელიც ერთ დროს მამა-მის ეკუთნოდა .. ახლა კი გამოჩეხილი სდუმდა და მალე უნდა დამდგარიყო ის დრო, როცა სრულიად მოისპობოდა..

აი, ამ ტყეში ვანომ პაწა ფიცრული ქოხი იქირავა და მოინდომა ზაფხულის შიგ გატარება. .

ყველაფერს თვით აკეთებდა და მხიარული იყო მით, რომ აკვნის სიახლოვესაც გრძნობდა; მაგრამ უფრო ბედნიერი იყო, რომ შეეძლო თვისი მხატვრული აღფრთოვანება უკვდავ რამეში ჩამოეყალიბებია..

(გაგრძელება იქნება)

სისხლის ვარდი

მაცდურ სატრფოსგან მოტყორცნილ ისარს დავაგე გული დამჭკარი დარდით,
გავეხმაურე წარსულის ფიქრებს მკერდ დანამშვენი მჩქეფ სისხლის ვარდით.
სიკვდილის ხელი შეეხო ჩემ სულს,
სულს კაეშნიანს, სულს დაობლებულს,
უკანასკნელად აღმოხდა წყევლა
ოცნების ქნარზე სიმს ათრთოლებულს.
და ცრემლთა წყარო, თვალთ მონაჩქეფი,
წამწამთა ტყეში ავაკამკამე,
ტუჩებს დააკვდა სიცოცხლის შხეფი
და აწ არ ვიცი სით მიხმობს ღამე..
ახ! სატრფოვ, სატრფოვ, მტარვალო ჩემო, თუ ვით გაღმერთე, თუ ვით მიყვარდი,
კითხე ჩემ მკერდზე დასობილ ისარს და პასუხს მოგცემს იქ სისხლის ვარდი..

ცვარნამი

წამების ზღვაზე

VIII ჩემო სამშობლო!

გაფიცებ რიონის დ უცხრომელ სრბოლაში გამონაწრთობ ჰანგს, მტკვრის დუდუნში შობილ სიმღერას, მყინვარის მწვერვალზე განბანილს მზის სხივებს, ნუ დამწყევლი მწუხრის შვილს იმისათვის, რომ ჩემი სევდა მძიმე ლოდივით აწევს შენს ტანჯვით დაღალულ მკერდს. ნუ მკიცხავ, რომ მდევივით აზიდულ მთის მწვერვალებს ჩემი ოხვრა არ აძლევს მოსვენებას

მთვარის დაღლილი სხივები თუ პოულობს მყუდრო სარეცელს შენს ტბის გულმკერდზე, თუ ქარიშხალს აქვს თავშესაფარი მთის ნაპრალებში, ჩემს სამარადისო სევდასაც მიეცი ბინა...

მიხ. ბოჭორიშვილი



ფლიდელ ადიუტანტი

† თ. კონსტანტინე ალექ. მუხრან-ბატონი

ქართველ მეფეთა შთამომავალი და სიძე დიდის მთავრის კონსტანტინე კონსტატინეს ძისა, მეუღლე ტატიანისა. მოკლულ იქმნა ბრძოლის ველზე გალიციაში. თბილისს ჩამო სვენეს 27 მაისს საღამოთი, 29 მაისს მცხეთას წაასვენეს მცხეთის ტაძარში პაპის გვერდით დასაკრძალავად. დარჩა მცირე წლოვანი ვაჟი თეიმურაზი და მეუღლე. მისმა ქვრივმა მოითხოვა, რაც თბილისში ვარდია, შეისყიდეთ და სამგლოვიარო შემკულობის ნაცვლად მოიხმარეთო.

ბახტრიონი

პოემა ვაჟა ფშაველასი

(კრიტიკული ესკიზი)

(გაგრძელება. იხ. „თ. და ც." № 21)

თუში დიდის მოწიწებით ეპყრობა თავისი სახელოვანი შვილების ღვაწლს... ადიდებს მათს სახელს, სიმღერის და მოთხრობა-გარდმოცემის საგნად ხდის, მათს ნუშტს დიდის პატივით და ქებათა-ქებით აბარებს მშობლიურს მიწას, რომლის თავისუფლებასაც ისინი მსხვერპლად შეეწირნენ?..

ჩვენი უკვე ნაცნობი კვირიას და ღელას სხეულნი თუშ-ფშავ-ხევსურებმა ბახტრიონს არ დასტოვეს და საკაცით ნაბდებში გახვეულნი წამოასვენეს მშობლიურ მიწის წიაღისთვის, თემის მიდამოებში, მისაბარებლად.. აი რას ამბობენ ფშავლები მათ შესახებ:

„ღმერთმა აცხონოს ესენი!
ამათ გაგვიღეს კარები (ციხისა),
რო შავიჭრენით შიგითა,
ჩვენს წინ ეყარნენ მკვდარები
მოგვაქვს, დავმარხოთ იქავე,
სად მამა-პაპა ჰმარხია...
მძიმეა თავის ქვეყანა,
თავის წყალ-ჭალა ძლიერა!
მიწაც ტკბილია მშობლიური,
გულს რომ ეყრება ფხვიერა!

შინ დაბრუნებული მეომრები ჩამოთვლიდნენ გმირთა სახელებს ყოველთა საუწყებლად... ყველას უხაროდა, ღდესაც მოისმენდნენ გმირთა ქება-დიდებას. აი რას ამბობს ლაშქარი თუშთა წინამძღოლის ზეზვას შესახებ:

„ისა ყოფილა ვაჟკაცი,
ღირსი წელთ ერტყას ხმალია.
ლომია, უფალსა ვფიცავთ,
სწრაფი, ვით ელვა-ქარია,
ჰშვენოდა, ძმობამ, ვაჟკაცსა
დაზარნიშული ფარია ..
მაგრამ დაგვიჭრეს...
გაწირეს ცოცხალ-მკვდარია...
თუ გაზრდის ფურმა გაზარდოს
აი მისთანა ხარია!
ვერ ვნახეთ, რომ დაეკვნესოს,
ან შეცვლილიყოს სახითა.
თუშთ შაიჭირვეს ძალიან,
ცრემლით ატირდნენ ცხარითა..
თავით დაურქვეს დროშაი—
მისივე შუბის ტარითა...

ხალხის გამოსახულებამ ისეთი მიუახრდილებელი სხივით შემოსა თავგაწირული მამულის შვილის სახელი, ისეთი ზნეობრივი მიმზიდველობის ძალით შეამკო იგი, რომ მის პიროვნებას ემონრჩილება, ემსახურება თვით უსულო და სულიერი ბუნებაც კი. ასე გასინჯეთ, მას ემორჩილება თვით ის ბველიც, რომელიც იყო

„ბევრი ცოდვისა მომქმედი...
ბევრი ჩაენთქა ტიალსა
მონადირე და მხეცები.
იწვა, უცდიდა დავლასა
თვალებით დანაცეცები.
გადამთხვალიყვნენ იქიდამ
ნადირნი გულის თრთოლვითა.
ვერ გაჰხედნებენ იმ ალაგს,
ისე ეშინისთ შორითა“.

ჰოემის მთმქმედი ჰირი ფშავების ხევისბერი ლუხუმი, რომლის ზედგავლენას ისინი ემორჩილებოდენ და რომელიც იყო „ხმატკბილად მოუბარი“, ბახტრიონთან ომის შემდეგ სადღაც გადაიკარგა. თემი დიდ საგონებელს ჩავარდა და ლაშქარს ეკითხება:

„ბერი სადღაა ლუხუმი,
დამრიგებელი ფშავისა?“

მაგრამ ლაშქარმა არ იცის, სად წავიდა ლუხუმი:

„ვერა ვიცით რა, ესა გვწყინს,
გვრცხვენიან, ჰირად გვქცევია;
დაკარგვა ჩვენის პატრონის
სავონად გარდაგვქცევია“.

და სწორედ ეს ფშავთა სულის ჩამდგმელი ლუხუმი, დაჭრილი ომში, უშემწეოდ დაგდებული იმ უღრანს ტყეში, სადაც მეფობა ზემოთხსენებულ საზარელს გველს ეკუთვნოდა. გველმა, როდესაც ხეზე იყო გაწოლილი და წოლდა, შეხედა, რომ

„. . . . . კაცი წევს,
სულის მაზრძოლი, ეული,
სასომიხდილი, სნეული;
მკერდზე ატყვია მიმხმარი
სისხლი წყლად ამორწყეული.
გველს შაებრალა ლუხუმი
მისკე წავიდა ზლაზვნითა,
მიაშრიალებს ხმელ ფოთოლს
დიდრონის ტანის გლარზვნითა...

გველი დააცქერდა სულთამბრძოლს ლუხუმს..· დაფიქრდა და გული ბრალით აევსო გველს

„ბევრის ცოდვისა მომქმედსა
გადაუბრუნდა გუნება:
რა სიბრალულით იმსჭვალვის
მისი გველური ბუნება!

ზედ გადააწვა მკერდზედა,
წყლულსა ულოკდა ენითა.
თან მკერდს უსველებს მხედარსა
ცრემლების ჩამოდენითა.
აყრუებს ტყესა და ველსა
ოხვრითა რამოდენითა!

მთელის ერთის თვის განმავლობაში გველი უვლიდა ლუხუმს, რომლის წინაშე ქედმოდრეკილმა გველმა

„ბოროტების გზა გაუშვა,
კეთილი დაუჯერია.
საჭმელსაც თვითონ უზიდავს,
ასმევს წყალს ლალი მთისასა;
ღამ-ღამ ზღაპარსაც უამბობს
ორის ობოლის ძმისასა!“

ასეთი მთვლის მეოხებით, როგორც გარდმოცემა ამბობს, ფეხზე წამოაყენა გველმა ლუხუმი, და უკანასკნელი კვლავ დაბრუნდა თვისი მამაპაპის სალოცავი ლაშარის ჯვარის წინაშე, რათა კვალად და კვალად იქმნას „დამრიგებელი ფშავისა“, მათის ზნეობრივი სიწმინდის გუშაგად, რომელიც თავის შესახებ ამბობს:

„არ რაღმე მეჰაშნიკება
სიტყვა კოჰლი და ლუგუმი“..

ხალხის გამოსახულებას სურს, რომ ადამიანი ზნეობით იმ ზომამდის წმინდა იყოს, რომ მის გავლენას ემორჩილებოდე'ს სულიერი და უსულო ბუნება. ლუხუმი ამ გამოსახულების მეოხებით შემოსილია ზნეობის დიადი სიფაქიზით. მამულისათვის თავის გაწირვას ხალხის გამოსახულება მაღლა აყენებს სხვა ყველა კეთილს საქმეზე... მისი მსგავსი კეთილი საქმე სხვა არაა.. და სწორეთ ამ სიკეთით უხვად შემკულს ლუხუმს თვით გველი სცემს პატივს, მისი ზედგავლენით საზარელი ქვემძრომი იცვლის თავისს ბოროტებით სავსე ბუნებას და სიბრალულის გრძნობით განიმსჭვალება. გავიხსენოთ საღრმთო წერილის თქმულება ლომებისა და დანიელ წინასწარმეტყველის შესახებ. ორმოში დანიელმა მოხიბლა თვისი ტკბილ სიმღერით და საკრავების დაკვრით პირდაღრენილი ლომები, რომელნიც მას უსმენდნენ თავდადუნულნი, და თვისი შიშშოლი აღარც კი აგონდებოდათ. გავიხსენოთ ქართველთა წმინდანების შიოს და იოანე ზედაძნე-

ლის ცხოვრების აღწერა... მათაც ემსახურებოდნენ გარეული ცხოველები: მგლები და ირმები... ხალხს სწამს, მას მტკიცედ სჯერა მშვენიერების და სიკეთის გავლენა გარეშე ბუნებაზე, რომელიც მათის მეოხებით გარდიქმნება, უმჯობესდება, . თვით შოთაც სწორედ ხალხის ამ რწმენას გამოხატავს, როდესაც აღ

გვიწერს ავთანდილის სულის და გულის წარმტაცს სიმდერას, ოდეს იგი შორს მიმავალი, შავბნელით მოცული მეობადის არ მცოდნე, მარტოოდენ ცას შესტიროდა და მხოლოდ ვარსკვლავებს აუწყებდა თავისი გულის სიღრმეთა...

„რა ესმოდის მღერა ყმისა,
სმენად მხეცნი მოვიდიან;
მისვე ხმისა სიტკბოსაგან
წყლით ქვანიცა გამოსხდიან.
ისმენდიან, გაჰკვირდიან,
რა ასტირდის ასტირდიან:
იმღერს (ავთანდილი) ლექსთა საბრალოთა,
ღვარისაებრ ცრემლნი სდიან!“

სამშობლოს თავისუფლების დაცვა მუდამ ომს თხოულობდა, ქართველი სხვა საქმისათვის ვერც კი იცლიდა. მტერთან ბრძოლამ გამოწვეულ ქართველის ხასიათი; გაასაღკლდევა იგი ჭირში... მოგუსმინოთ თუშთა წინამძღვარს: ის ეუბნება ლუხუმს მაშინაც, როდესაც ერთმანეთს შეხვდენ ბახტრიონთან ომის დაწყებამდის:

„ლაშქრობამ ჩამომაბერა,
ძალლ-უმადურად გდებამა,
სრულ ლაშქარსა ვარ, რაც კია
ძუძუს მომსხლიტა დედამა.
ჯერ შენთან, ძმაო ლუხუმო,
რამდენჯერ ვიყავ ომშია?!
წელში ორჯელ თუ დაებმის
ჩემი საფერხე გომშია“.

გამუდმებულმა ბრძოლამ ბუნებით გულჩვილი და შემბრალებელი ქართველი ომის ყამს შეუბრალებლად გადაქცია... ასეთი იყო თვით ზეზვა, რომელიც ლუხუმის წინაშე მოიგონებს ერთ შესანიშნავ შემთხვევას თავისი ცხოვრებიდან, როდესაც სოფლის სბუის ბოლოში სამშობლოს ერთსულმტერს თავის ხმლით მოწყვიტა თავი... ვისდა ეცალა სიბრალულისთვის, როდესაც ქართველის კარშემო დასმული იყო ეოფნის და არეოფნის საკითხი... ვაჟა-ფშაველა ამართლებს ასეთს ხასიათის გაკაჟებას, ვინაიდან ის გამოწვეული იყო კანონიერი თავდაცვის აღდგომ მიერ და გამოჭედილი რკინისავით მაგარი ისტორიული აუცილებლობის მიერ... საერთო კაკნირვების ყამს თითოეული ადამიანის

მ. უ. ტატიანა კონსტანტინეს ასული

მეუღლე თ. კ. ა. მუხრან-ბატონის და მისი შვილი თეიმურაზი (იხ. მე-5-ე გვ.)

გულში ფესს იკიდებს მოძმისადმი თანაგრძნობა, რომელსაც მოკლებული კაცი მკვდარია. ამისთანა კაცი, ბოეტის აზრით, არის

„უსაზარლესი მკვდარზედა ..
არ ებრალება მოყვასი,
მის წინ რომ აცვან ჯვარზედა...
ჭაობში არის ჩაფლული,
ვიცნობს მოწამლულს ხმაზედა ..
საზარელია დადგომა
უგრძნობელობის გზაზედა.

ამისთანა უგრძნობელობას მოშორებულნი იყვნენ თუშ-ფშავ-ხევსურნი, რომელთაც გული შეტკივოდათ ბრის ქართველების მიმართ. ისინი დიდს დახმარებას უწევდნენ ქართლის მეფეს და მისი ერთის ბრძანებით მოდიოდნენ ქართლში მისთვის თავის დასადებლად... ქართველი მეფეებიც მეტად აფასებდნენ მათს ასეთს სამარს მზადყოფას საერთო კაკნირვების ყამს და მათ უხვად აჯილდოვებდნენ. აი რას ამბობენ ფშაველები, რომელთაც თავზარი დასცეს საქართველოს მტრებს:

„მეფემ გვიბოძა საჩუქრად
სახნავი, საძოვარია...
სახელს უმატეთ სახელი—
ძვირფასი საპოვარია!„

ილ. ფერაძე

(შემდეგი იქნება)

სოფ. ხაშმის ორ-კლასიანი

(50 წლის



სოფ. ხაშმის ორ კლასიანი სასწავლებელი (წინა პირი) უკან მოსჩანს თეატრის ბანი. წინ ერთ ჯგუფად სხედან სამნი— სკოლის აშენებელნი: ზედამხედველ-მასწავლებელი ალ. მოზდოკელი და გლეხნი—პ ლადიძე და იაგორ ყურაციშვილი.

თუ ჩვენს სოფელსა ჰსურ ნივთიერად გაღონიერება, ქონებით წელში გასწორება, სულიერ-გონებრივად ამაღლება და თანამედროვე ხალხთა სოციალ-პოლიტიკურ ცხოვრებაში შეგნებული მონაწილეობა, სამეურნეო-სახელოსნო და საზოგადო სწავლა-განათლებას უნდა დაეწაფოს. შეგნებული, თავგამოდებული, ხალხის სიყვარულით გატაცებული და სამშობლოს ტრფიალით აღგზნებული, თვითმომქმედი მასწავლებელი,—აი ვინ დააწინაურებს ჩვენს სოფელს, ვინ გაუთენებს ბრწყინვალე დღეს. .

ეს ცხადი ჭეშმარიტება, დღემდე ბევრისგან თქმული, ჩვენში ჯერ კიდევ განუხორციელებელია.

კერძო თაოსნობისა და საზოგადოების შეთანხმებულ მუშაობის ნაყოფიერობის ცხადი მაგალითია სოფ. ხაშმის სკოლა, რომლის არსებობას წელს უსრულდება ნახევარი საუკუნე—50 წ.

ივ. ი. ბაქრაძე
(24 წ. იმასწავლებლა სოფ. ხაშმის სკოლაში)

სოფ. ხაშმი (ივრის ხეობაზე) შედარებით პატარა სოფელია, სულ სამას კომლამდე მცხოვრებლით (1884 წ. აღწერილობით 220 კ. დე), მაგრამ მიუხედავად ამისა, ამ სოფელმა შესძლო სკოლის დაარსება და მისთან და თანი გაზრდა. დიდი ხანი გავიდა, სანამ ეს სასწავლებელი ცხად წარმატების გზას დაადგებოდა მოძრაობის ხანაში სოფლის მოწინავე ნაწილი მხნედ შეუდგა როგორც სამოსწავლო წესის შეცვლას (შემოღებულ იქმნა 1881 წ. პროგრამა), აგრეთვე მის ორკლასიანად გადაკეთებას, რაიცა შემდეგ წლებში განხორციელდა, და ძველი დანგრეული შენობის აგება-გადაკეთებას გამგე-მასწავლებლის ალ. ესტ. მოზდოკელის მუყაითი მეცადინეობით.

ამ სასწავლებლის შენობის სიგრძე 70 არშინია, სიგანე 23; მთელი შენობა რვა მოზრდილ ოთახადაა დაყოფილი (ოთხი—თითო სიგრძით 12 არშ., სიგანით—9,—საკლასოდ 4—მასწავლებელთათვის), სიმაღლე ოთახებისა 6 არშინია. სასწავლებელი საუკეთესოდ მოწყობილია. ამ შენობის მეორე ნაწილში სცენა და სათეატრო დარბაზი.

პ. ი. ლადიძე
ადგილობრივი გლეხნ[ის]
გებ კომისიისა, რომე[ლმაც]
დასდეს სკო[ლას]

თამამად შეიძლება ითქვას, რომ მთელს ივრის ხეო-

სამინისტრო სასწავლებელი

შესრულების გამო)

ბაზე (გარე-კახეთში) ასეთი სასწავლებელი, როგორც შენობით, ისევე სწავლის საქმის დაყენებით, მეორე არ მოიპოვება.

ამ სასწავლებელში სხვა და სხვა დროს მასწავლებლობდენ ივ. ბენძენიშვილი, ანნა ცისკარიშვილისა, ივ. ბაქრაძე, ალ. ესტ. მოზდოკელი, რომელიც ახლა სასწავლებლის გამგე და სულის ჩამდგმელია, მღ. ივ. ხაბახიშვილი, ნ. ბაქრაძე, ელისე მაჭავარიანი, ოლ. თომაშვილი კლიაშჩინსკისა, თ. ბილანიშვილი და სხ.

სოფ. ხაშმის სასწავლებლის კურთხევა 1912 წ. 8 ენკენისთვეს მასწავლებელნი, ადგილობრივი საზოგადოების წარმომადგენელნი და მოწვეული გარეშენი.

აქვე მოგვყავს ამ სასწავლებლის შესახები მოკლე ცნობანი ოფიციალურ დოკუმენტებიდან:

აი, ეს ცნობანიც:

1865 წ. სოფ ხაშმში დაარსდა სამრევლო სკოლა. 1879 წ. ეს სკოლა გადავიდა სამინისტროს უწყებ ს განკარგულებაში; სასწავლებელი იყო მოთავსებული ძველ ქვიტკირის შენობაში, რომელიც ს. ხაშმის საზოგადოებას ჰქონდა შესყიდული ხაზინისგან. 1883 წ. მარიამობისთვის 1-ან მასწავლებლად დაინიშნა ივანე იოსების ძე ბაქრაძე, რომელმაც ამ სასწავლებელში სრული 24 წ. იმსახურა.

ი. ყურკაციშვილი

წევრნი სკოლის ამ... ...დთაც თვალსაჩინო ამაგი ...რის აშენებას.

1902 წ. ს. ხაშმის საზოგადოებამ შეაკეთა ნაწილი პურის მაღაზიის შენობისა, რომელიც ჰქონდა მთავრობისაგან ნაყიდი შეკეთება შენობისა დაუჯდა საზოგადოებას 1800 მ. მთავრობა დაეხმარა — 700 მ-ით. შეკეთებული შენობა წარმოადგენდა ერთ მოზრდილს საკლასო ოთახს და ორს საცხოვრებელს ოთახს მასწავლებლისათვის. სოფ. ხაშმის საზოგადოება იხდიდა წლიურად სკოლის შესანახს 355 მ. 40 კ. რიცხვი მოწაფეებისა ადიოდა 40—50-ის.

1907 წ. ივ. ბაქრაძე გადაყვანილ იქმნა ქ. დუშეთში.

1907 წ. 17 ოქტომბერს მასწავლებლად დაინიშნა ალ ესტ მოზდოკელი. იმავ წლის ოქტომბერშივე, თანახმად მამასახლისის ი. ი—შვილის განკარგულებისა, შეკეთებულ იქმნა სკოლის შენობა. ამავ დროს სკოლა მოეწყო მთავრობის ხარჯით საუცხოვო სურათებით და ყოველ საჭირო სასწავლო ნივთით.

ალ ესტ. მოზდოკელი
მასწავლებელი და ხელმძღვანელი სასწავლებლის, თავმჯდომარე სკოლის ამშენებელ კომისიისა. უმთავრესად მისი მეცადინეობით აშენდა სკოლა.

1907 წ. ნოემბრის 5-ს დღესა სოფ ხაშმის საზოგადოებამ, მამასახლისის ი. ი — შვილის წინადადებით, დაადგინა გა-

ნაჩენი, რომლითაც სასოგადოება სთხოვდა ბ. მომრიგებელ-შუამავალს გ. მაჩაბელს ეშუამდგომლა, სადაც ჯერ არს, რომ რადგანაც სოფელში არსებული ერთ კლასიანი სასწავლებელი გლეხკაცს არ აძლევდა საჭირო ცოდნას, გამოსადეგს ოჯახში, ამიტომ იგი გადაკეთებულიყო ორ კლასიანად სამეურნეო განყოფილებით. სოფელი თავის მხრით კისრულობდა: 1) ხარჯის ნაწილს (400 მ. წელ.), 2) მშვენიერ შენობის დათმობას სკოლისათვის და აგრედვე მასწავლებლისათვის, 3) საზოგადო მამულის (სარწყავი 9 დესეტინას) დათმობას და 4) საჭირო შეშის მიცემას. იმავე განაჩენში მოხსენებულია: „რადგანაც სწავლა-განათლება საჭიროა ორივე სქესისათვის, გაიხსნას ქალებისათვის ცალკე სასწავლებელი—ჭრა-კერვის განყოფილებით.“

ვინაიდან 1908 წ. მოწაფეთა რიცხვმა იმატა—1909 წ. დაინიშნა მეორე მასწავლებელი.

1909—1910 წ. განმავლობაში სკოლამ შეიძინა ბევრი საუკეთესო ავეჯეულობა. ამავე წლიდან დაინიშნა გალობის მასწავლებელი (ელისე მაჭავარიანი), რომლის ლოტბარობითაც ყოველ კვირა—უქმე დღეებში გალობდა გუნდი ბავშვებისა.

რიცხვი მოწაფეებისა ავიდა 120—150-ის. საჭირო იყო შენობა გაფართოებულიყო. 1911 წ. 14 თებერვალს საზოგადოებამ დაადგინა განაჩენი, რომლითაც ითხოვდა მთავრობისაგან დახმარებას სკოლის შენობის ასაშენებლად.

ამავე წლის 24 აპრილს, სოფლის განაჩენით ამორჩეულ იქმნა კომისია, რომელსაც დაევალა შეედგინა ხარჯთაღრიცხვა შენობის გასაკეთებლად და გეგმა, პირობა შეეკრა მოიჯადრეებთან, თვალ-ყური დაეჭირა, როგორც მუშებზე ისე მოიჯარადრეებზე, მასალის ყიდვასა და სხვა საქმეებზე, სადაც საჭიროება მოითხოვდა. ამ კომისიაში იყვნენ: 1) მასწავლებელი ალ. ეს. მოზდოკელი (თავჯდომარე), გლეხნი: 2) პეტრე ლაღიძე და 3) იაგორ ყურკაციშვილი. კომისია ერთგულად ეკიდებოდა დავალებულ საქმეს და პირნათლადაც შეასრულა იგი. ამ საქმეში დახმარებას უწევდა ესტ. ყირმელაშვილი. შენობის გადაკეთება დაიწყო 1911 წ. 1 მაისიდან, დამთავრდა 1912 წ.

მთავრობა დაეხმარა 4500 მან. საზოგადოებას დაეხარჯა 4,300 მან. შენობის დამთავრების შემდეგ 8 ენკენისთვეს ეკურთხა სასწავლებელი და დაიწყო მეცადინეობა. რიცხვი ბავშვებისა ავიდა —170-დის.

1913 წ. ენკენისთვეში სასწავლებელი, თანახმად ბ-ნ მზრუნველის განკარგულებისა, გადაკეთებულ იქმნა ორ კლასიანად.

1914 წ. ენკენისთვეში სასწავლებელთან გაიხსნა ჭრა-კერვის განყოფილება (1915 წ. მარტიდან მიეცა 140 მ.) ამავე თვეში საზოგადოებამ დაადგინა განაჩენი, რომლითაც მოითხოვს სასწავლებელთან სამეურნეო სახელოსნო განყოფილებათა გახსნას. საზოგადოება უთმობს სასოფლო მამულს სამეცადინოდ*).

1915 წ. საკონსერვო კურსების მოსაწყობად სასწავლებელს მიეცა—300 მ. იარაღი“.

ს. ლ—ელი

მწირი-სარდალი

(გაგრძელება. იხ. „თ და ც.“ № 21)

მოქმედება მესამე

მდიდრულად მორთული შალვას ოთახი ერისთავის სასახლეში.

(წინ, მარცხნივ, მოფარდაგებულში, მუთაქა-ბალიჩებზე მიწოლილია მძიმედ დაჭრილი შალვა და თვალები დახუჭული აქვს. უკან, მარჯვნივ, ტახტზე ზის ნინო და ჩუმად სტირის, მანანა რამდენსამე ხანს სდგას შალვასთან და დაჰყურებს; შემდეგ ფეხ-აკრეფით მიდის ნინოსთან)

ნინო (ტირიდით) რას შვრება?

მანანა სძინავს ან ბურანშია...

(ნინო კვლავ ტირის. მანანა ჭედრებით)

კმარა ამდენი ტირილი, კმარა!..
ღვთის ნებას უნდა დავემორჩილოთ!
რა ვქნათ? სხვა არა დაგვრჩენია-რა!..

(რამდენსამე ხანს დუმდია)

შალვა (გაშმაშურდება, ახელს თვალებს და

*) როგორც ნამდვილი წყაროებიდან გავიგეთ, სასწავლებელთან იხსნება სამეურნეო და სახელოსნო განყოფილება.

მისუსტებულის ხმით) ნინო, სადა ხარ?

ნინო (საჩქაროდ მოიწმენდს ცრემლებს და მიირბენს), აქ, გენაცვალე!

(მოჭკიდებს ხელზე ხელს და მის წინ სავარძელზე დაჯდება)

შალვა პასუხი კიდევ აღარ მოსულა?..

ნინო არა.

(მანანას) მანანა, აბა გაიგე,
მსახური ხომ არ დაბრუნებულა?..
(მანანა მიდის)

შალვა (ცოტა ხნის შემდეგ)
რაო, რას ამბობს ჩვენი მანანა:
მალე მოვრჩები ხომ ამ წვალებას?..

(ნინო, თავს ვერ შეიმაგრებს და ტირილს დაიწყებს) შენ ისევ სტირი და არ აპირებ,
გეტყობა, ბედის ჯერ შერიგებას?..
უდროოდ ვკვდები, მაგრამ რა უყოთ?
სჩანს, ასეთია ღვთისა განგება!..
გულში დარდად ის მიმყვება მხოლოდ,
რომ ჩვენი ჯარი უსარდლოდ რჩება!..
ვერ აირჩიეს კიდევ ვერავინ?..

ნინო ვერა..

შალვა ვაი, რომ უნდა მართალი
ვსთქვა, ყველა კარგი მეომარია,
მაგრამ არ არის მათში სარდალი!..
ალბად, ეს არის კიდეც მიზეზი,
რომ ამდენ ხანსა ბჭობენ, არჩევენ,
თუმც, მთელი კვირა რომ ითათბიროონ,
მაინც ღირსეულს ვერ აარჩევენ!..

ნინო რაღა თქმა უნდა, არ ურევია
მათში არავინ, შენი სადარი!..

შალვა (ცოტა ხნის შემდეგ)
კარგი სარდალი იგია მხოლოდ,
ვისაც სრულ რწმენით მიჰყვება ჯარი,
ვინც იმის თვალში თვითონ განგებას
აურჩევია ვით წინამძღვარი!
გასაკვირველიც არ არის, რადგან
შინაურ მღვდელსო არ აქვს შენდობა;
ბრბო მეთაურად უბრალო თვისს ტოლს
ძვირად მიიჩნევს და მიენდობა
და საქმისთვისაც უკეთესია,
როცა ჯარს სარდლად უცხო ვინმე ჰყავს:
სხვა არა იყოს, ამხანაგური
შური მაინცა ვეღარ იჩენს თავს!..
მაგრამ სად ვნახოთ მისთანა უცხო,
რომ თან იყოს ის რჩეული გმირი
და თან ეწოდეს გული ჩვენთვისა,—
თვისად მიაჩნდეს მას ჩვენი ჭირი?..

(ჩაფიქრებული თვალებს დახუჭავს და რამდენსამე ხანს ბურანშია. თან რადაც სასმო მდედვარება ემჩნევა. ნინო უძრავად ზის და სულგანაბული შეჭყურებს, რამდენსამე ხანს შემდეგ შადვა უცებ ახედს თვალებს და სახე გაბრწყინებული, ნინოს) ნინო რა გითხრა?!

ნინო რა გენაცვალე?

შალვა (ადტაცებით) ვპოვე სარდალი!

ნინო ვინა, ვინ არის?

შალვა გივი!

ნინო (მდედვარებით) ვინ გივი?! მწირი?..

შალვა დიაღ, ის!
ახლა ბურანში მყოფსა, უეცრად
წმიდა გიორგი გამომეცხადა
და მითხრა: „აჰა ჭაბუკი ჩემგან
დანიშნულია თქვენთვის სარდლადა!“
და მიმითითა გივიზე.
(ადფრთოვანებით) მართლაც
შვილი დიდისა სარდლის, ოთარის,
სამშობლოსათვის თავდადებულის
ძმა ვახტანგისა და ელიზბარ-ის,
მამასთან ერთად გმირულად მკვდრების,
აი სარდალი დღეს ჩვენი ჯარის!..
ოჰ, ჩემო ნინო როგორ გიმადლი,
რომ დამიამე მწვავი ტკივილი
და მომაშორე მწარე ნაღველი,
შემომსუბუქე ტანჯვა სიკვდილი!
შენ დაუბრუნე კვლავ სამშობლოსა
საუკეთესო მამულიშვილი
და უპატრონო ჯარსა პატრონი,
თვით განგებისგან სარდლად შექმნილი!.

ნინო (შიშით)
რომ არ მოვიდეს? არ გამოუშვან?..

შალვა (მტკიცედ) მოვა,—მოვიყვანთ!..

(შემოდის მანანა და მოაქვს წერილი)

მანანა (ნინოს) აი წერილი!

(მისცემს წერილს და დადგება მოშორებით)

ნინო (მდედვარებით ხსნის წერილს და კითხულობს) „ჩემო სიცოცხლეო, ჩემო ღვთაებავ,
კვლავ მეხვეწები, დავთმო ბერობა;
ღავბრუნდე სოფლად და შევასრულო
სამშობლოს მიმართ მოვალეობა;

გავხდე მეომრად, მტერს შევებრძოლო,
მოძმეთა ხვედრი გავიზიარო;
მამულიშვილთა რაზმს შეუერთდე,
და მათთან ჩემი სისხლიც დავღვარო!.
ოჰ, მშვენიერო. გნახე, თუ არა,
გულში ჩამაჩნდა შენი სიტყვები
და გადავწყვიტე, რომ მონასტერი
დავტოვო როცა მამულს ვჭირდები;
მაგრამ ვაი, თუ მოულოდნელად
სულ სხვაფრივ ჩემი გადაწყდა ბედი
და, რომ გავხდეი თავისუფალი,
უკანასკნელიც გაჰქრა იმედი!..

(ტრემლ-მორეული)

„როდესაც დედა რისხვა-მუქარით
ველარას გახდა, გრძნობას მიმართა:
რაც ჩემი თავი მახსოვს, პირველად
ალერსიანის სიტყვით მომმართა
და ცხარე ცრემლით დამიწყო ხვეწნა;
მეც აღარ ვიცი, რა დამემართა,
რომ ვნახე ის, ვინც გულქვა მეგონა,
მუხლ-მოდრეკილი ჩემ წინ დაეცა
და გაიხსენა ჩემი ბავშვობა,
როცა ალერსი მისი მიყვარდა,
და.. და.. ვიძლიე,—ბედს დავმორჩილდი
და, რომ ისევე არ გადვიფიქრო,
გადავსწყვიტე ხვალ ბერად მაკურთხონ!..
მშვიდობით!.. ჩემზედ აღარ იფიქრო!.»

(ტრემლების ულაზვით გასთავების კითხვას და გაფაფორებული, უეურებს შალვას)

შალვა (დამშვიდებით)

ნინო, დამშვიდდი,—გულს ნუ გაიტეხ!
გივი ხვალ ბერად ვერ ეკურთხება;
იგი საჭირო არის ქვეყნისთვის
და დღესვე, დღესვე დაუბრუნდება!.
გმირის, ოთარის შვილი მამულსა,
ბერად კი არა—საარდლად სჭირდება!.
წადი უთხარი, მამა მოვიდეს
და მედროშესაც აქ დაუძახე!..

(ნინო სასჩქარად მიდის; შალვა მანანას)

მანანა, შენ რას იტყვი იმ მწირზე:
ვ ეკაცობას ხომ უმტკიცებს სახე?..

მანანა დიად, ბატონო! ცხადად ეტყობა,
რომ წინაპართა ღირსი შვილია;
რომ მხნე ვაჟკაცად, ნამდვილ მეომრად
და არა ბერად გაჩენილია!..

(შემოდიან ერისთავი, ნინო და მედროშე. ერისთავი დადამბლავებული მოხეტიალ და ცალ ხელში ყავარჯენი უჭირავს, მეორე ნინოსთვის აქვს შემოხვეული; ეს მოდის შალვასთან და დაჯდება მის წინ, სავარძელზე. ნინო იქვე დადგება. მედროშე მდაბალ თავს დაუკრავს შალვას და მოშორებით დადგება)

ეკა მეგრელი

(გაგრძელება იქნება)

არის თუ არა ქართული თეატრი—ქართული?

(იხ. „თ. და ც." № 21)

II

შარშან ჰეტროგრადში ერთმა ცნობილმა მგოსანმა ასეთის სიტყვით მომმართა: მიყვარს ქართველები, მიყვარს მათი განუწყვეტელი სიცილი და სარხარი. მიყვარს ქართველები მით უფრო, რომ მათთვის ცხოვრება ცეკვა, დაუდგრომელი კუბიდონია, ეოველთვის უშანკო ფრთებით გარემიცეული.

ქართველი იცინის, მხიარულობს და განუწყვეტლივ კისკისებს. ცხოვრებას ზეგზეგით, ცალმხრივ ეეურებს, გაურბის მის დუხჭირს და სტკივნეულ მხოლოდ მისი მშვენიერებით.

ქართველი გედონისტია ბუნებით, ამბობენ

(ტრემლების ულაზვით გასთავების კითხვას და გაფაფორებული, ეეურებს შალვას)

შალვა (დამშვიდებით)

ნინო, დამშვიდდი,—გულს ნუ გაიტეხ!
გივი ხვალ ბერად ვერ ეკურთხება;
იგი საჭირო არის ქვეყნისთვის
და დღესვე, დღესვე დაუბრუნდება!.
გმირის, ოთარის შვილი მამულსა,
ბერად კი არა—საარდლად სჭირდება!.
წადი უთხარი, მამა მოვიდეს
და მედროშესაც აქ დაუძახე!..

(ნინო სასჩქარად მიდის; შალვა მანანას)

მანანა, შენ რას იტყვი იმ მწირზე:
ვ ეკაცობას ხომ უმტკიცებს სახე?..

მანანა დიად, ბატონო! ცხადად ეტყობა,
რომ წინაპართა ღირსი შვილია;
რომ მხნე ვაჟკაცად, ნამდვილ მეომრად
და არა ბერად გაჩენილია!..

(შემოდიან ერისთავი, ნინო და მედროშე. ერისთავი დადამბლავებული მოხეტიალ და ცალ ხელში ყავარჯენი უჭირავს, მეორე ნინოსთვის აქვს შემოხვეული; ეს მოდის შალვასთან და დაჯდება მის წინ, სავარძელზე. ნინო იქვე დადგება. მედროშე მდაბალ თავს დაუკრავს შალვას და მოშორებით დადგება)

ეკა მეგრელი

(გაგრძელება იქნება)

(იხ. „თ. და ც." № 21)

II

შარშან ჰეტროგრადში ერთმა ცნობილმა მგოსანმა ასეთის სიტყვით მომმართა: მიყვარს ქართველები, მიყვარს მათი განუწყვეტელი სიცილი და სარხარი. მიყვარს ქართველები მით უფრო, რომ მათთვის ცხოვრება ცეკვა, დაუდგრომელი კუბიდონია, ეოველთვის უშანკო ფრთებით გარემიცეული.

ქართველი იცინის, მხიარულობს და განუწყვეტლივ კისკისებს. ცხოვრებას ზეგზეგით, ცალმხრივ ეეურებს, გაურბის მის დუხჭირს და სტკივნეულ მხოლოდ მისი მშვენიერებით.

ქართველი გედონისტია ბუნებით, ამბობენ

რუსები და მათ ბანს აძლევენ ოვით ქართველებიც,— იგი არა—გრძნობს ღრმათ ცხოვრების ტანჯვას: უდარდელია, ფუქსავატი, ვამბობთ ეველა. ქართველი სულგრძელობს ლხენით, ლვინით და მღერის მრავალ-ჟამიერს.

ამგვარია გარკვეული, შეურეველი რწმენა რუსეთის ინტელიგენციისა ქართველებზე.

დიდ მართალია, ქართველი მღერის და ლხინობს. მერე იცით, რა მდგომარეობაშია? მოიგონეთ ის ხანა, როცა საქართველო,— როგორც საქართველო, როგორც სიმბოლო თავისუფლებისა, მოკვდა. როცა საქართველოს მზე ჩასვენა და ერს მისი უმაღლესი წმიდათა წმიდა უფლება, მისი დამოუკიდებულობა, ხე-

ლიდან გამოეცალა. მოიგონეთ იმ დროის ქართველნი... განა ჩვენ გვესმის მათი კვნესა, ვაება და ტანჯვა. განა მაშინდელნი ქართველნი მოსთქვამენ და სტირიან, ვითარცა ებრაელნი მდინარეთა ბაბილონისათა. განა იმ საშინელ ულმობელ დროს ქართველი ტრემლით რწყავს ანობლებულს, მიწასთან გასწორებულს სამშობლო მიწა-წყალს? მოიგონეთ ბარბაროსული დრო. სიცილი და სარხარი, ლხინი და კისკისი, გეგონებით საქართველო სტკბება უბედნიერესი წამებით. ლხინობს ის ქართველი, რომელიც თავგანწირულად იცავდა სამშობლოს და ერს.

მხოლოდ მგოსანი გულ-ჩათხრობილი სტირის და გლოვობს. მისი სული, ვით სხეტკი სული მთელი ერისა, მოსთქვამს მწარედ, გულსაკლავად.

სიცილით და ლხინით გადმოგვცემს ქართველი სალხი იმ საშინელ დღეებს, როცა საქართველოს დამბარი ჩაქრა.

საუბედუროდ ჯერაც არა გვაქვს გამოკვლეული, თუ რა გვდენა იქონია დამოუკიდებლობის დაკარგვამ ჩვენს ხალხზე. ეს მეტად დიდ მნიშვნელოვანი საკითხი დღეს დღეობითაც არვის აინტერესებს.

აიღეთ მეორე ხანა, სულ ახლანდელი. რა ხდებოდა საქართველოში განმანთავისუფლებელ მოძრაობის ჩაქრობის შემდეგ? ჩვენის ქვეყნის სხვა და სხვა კუთხეში — ქიზიყსა, ქართლსა, იმერეთსა, სამეგრელოში, — ისევ ქეიფი, დროს გატარება, უფუფლენ სიცილი და სარხარი. იცინოდა და მხიარულებდა ის ქართველი, რომელიც ის ის იყო იბრძოდა თავგანწირული თავისუფლებისათვის. ლხინობდა ის საქართველო, რომელმაც მეტად მკაცრად იგემა ტანჯვა, ვაება რეაქციისა. დროს ატარებდნენ ის ქართველნი, რომელთაც გამოეცალათ მრავალი საუკეთესო შვილი.

და, აი, ამავე დროს, ეროს ბიბრობებში მეოთი ჩვენთან რუსეთის ინტელიგენცია, ახალგაზდობა კი არ იცინის, კი არ ლხინობს, არა: ბიბრიქით გულ გატეხილი. იმედ-დაკარგული არ სებს თვითმკვლელობის კლუბებს, სხვა და სხვა არა ჩვეულებრივ გარეგნიდთა ლიკვებს და უზომო სულიერი ტანჯვისგან თავს სიკვდილით და იხსნის. მოიგონეთ რა საშინელ სურად მოედო რუსეთის ინტელიგენციას თვითმკვლელობა რეაქციის გამეფების დროს.

შეიძლება ესევე ითქვას ქართველ ინტელიგენციაზე. იყო იმგვარივე სისტემატიური თვითმკვლელობა ჩვენში, როგორც რუსეთში? ორი არსება ქართველი და რუსი, ერთი. ახლა გამსჭვალული, ერთსავე იმავე ბრძოლაში ხელ-ჩართული, სულ სხვა რიგად, სულ სხვა ფორმით გადმოგვცემს დამარცხებას, იმედის გაცრუებას. გაბოროტებული რუსი -ინტელიგენტი ხდება ასკეტი, მწუხარების შვილი. და ბევრი მათგანი სიკვდილში ეძებს ჭეშმარიტებას და მოსვენებას. ქართველი სულ სხვა, იგი იბრძვის თავგანწირულად, მიჭრის შეუჩერებლივ თავის მაზნისაკენ, მაგრამ თუ მას ეკითხა ასეთ, იმედი გაუმტეუნდა, იგი გაქარს არ გასწევს როგორც გერმანელი, ან ფინი, არც ასკეტი გახდება, როგორც რუსი. არა, ქართველი მწარე ხელის ჩაქნევით სჯობს ყველაფერს და თავს ღვიწეებას აძლევს, მერე იცინის და ლხინობს საშინელებაა, როცა ქართველი ხელს იქნევს და ამბობს: „სულ ერთია“, „რაც იქნებაიქნება“. ეს „სულ ერთია“, „რაც იქნება—იქნებაა“ იგივე თვითმკვლელობაა, მხოლოდ სულიერი. აი ტრაგედია საქართველოსი.

წარმოვიდგინოთ ერის წამს, რომ საქართველო ადრ არსებობს. მოისმა ამ ისტორია—ლიტერატურა დაიხსომეთ მხოლოდ ერი ტაეში ჩვენი განსვენებულ დიდებულ ბოეტის დექსისა, და ეს რამოდენიმე სიტყვა საშუალებას მოგცემთ აღდგინოთ ქართველ ადამიანის სულის თვისება.

ქართველი მგოსანი, ეს უზეანესი ანა ქართველი ერის სულისა, მდერის, მდერის მწარედ:

„ვინ რა იცის, რომ ეს გული
მკვდარია,
რომ სიცილი ბევრჯელ ცრემლზედ
მწარია.“

ხშირად მსმენია, ბევრი მდერის ქართველი: „რომ სიტილი ტრემლზე უფრო მწარეა“. ქართველი ინსტიქტიურად, გამოურკვეველ ინტუიციით ადრმავების თავის თვისებას,: „ბევრჯელ“ ეს მისთვის ითქოს ტოტალ, იგი ამბობს „უფრო“ — და ამგვარად იგი აკანონებს

საერთოდ ყველასათვის, რომ სიცილი ქართველისა მწარეა ცრემლზე.

იცინის ქართველი, როდესაც სტირის და სტირის, როცა იცინის.

იცინის ქართველი, როდესაც სტირის მისი გული. სიცილი და ხარხარი უდიდესი პროტესტია ქართველისა. სიცილი და ხარხარი—ეს მხოლოდ ფორმაა ქართველ ადამიანის რელიგიურ ინტუიციისა. სიცილი და ხარხარი ბუნტური თვისებაა ქართველ ადამიანის სულის კვეთებისა.

გადავავლოთ თვალი ქართველს, როგორც ტიპს, ჩამოყალიბებულს საქართველოს ისტორიის პირობებით: როგორია ქართველი, როგორც პიროვნება. რა ძალა აქვს მას და ან როგორია მისი ბუნებრივი ხასიათი?

მაგრამ ამაზე შემდეგ.

ალექსანდრე ახმეტელი

(შემდეგი იქნება)

პროვინციის მოღვაწენი

ალექსანდრე (საშა) ნიკოლოზისძე ქურდიანი

გარდ. 15 მაისს სოფ. საგარეჯოში.

მისი უდროვოდ დაკარგვა საგრძნობელი დანაკლისია საზოგადოებისათვის საერთოდ და განსაკუთრებით თეატრისათვის. უკანასკნელ წლების განმავლობაში გამართულ წარმოდგენებში თითქმის მუდამ მონაწილეობდა და ყოველთვის ღირსეულად ასრულებდა უძნელეს როლებს, რითაც დაიმსახურა საერთო სიყვარული.

სწავლა მიიღო ბაქოს გიმნაზიაში. აპირებდა მაღალ სამეურნეო ცოდნის შეძენას, მაგრამ თანამედროვე საშინელ ომის მიერ აწეწილ-დაწეწილმა მდგომარეობამ ეს განზრახვა ჩაუშალა, მეგობართა რჩევა-თხოვნით დარჩა სოფელში, სადაც ბეჯითად ხელი მოჰკიდა საკოოპერაციო საქმეს. წრფელი სიყვარული, დიდი უნარი და განუსაზღვრელი შრომის მოყვარეობა გამოიჩინა მან მომხმარებელ ამხანაგობის მაღაზიის გამგის მოვალეობის ასრულებაში. მაგრამ მარტო თეატრით და კოოპერატივით არ განისაზღვრებოდა მისი ნაყოფიერი მოღვაწეობა.

მოწინავე აზრების მოტრფიალე და მისი პრაქტიკულად გარდამქმნელი, იგი ეკუთვნოდა იმ მცირე რიცხოვან ჯგუფს პროვინციალურ მუშაკთა, რომელიც ყველაზე მეტად ესაჭიროება დღეს ჩვენს დაავადებულს მხარეს.

მთელი თავისი ხანმოკლე სიცოცხლე (გარდაიცვალა 26 წლისა) ქურდიანმა შეალია სოფლის წმიდა სამსახურს. მისი ხსოვნა დიდხანს დარჩება სასოებით მოსაგონებლად ყველასათვის, ვისაც კი წილად ხდომია მისი გაცნობა.

საუკუნოდ იყოს ხსენება შენი დაუვიწყარო ძვირფასო მუშაკო! *)

ალ. ლეჟავა

როგორ ცხოვრობდა აკაკი?

(იხ. „თ. და ც." № 16)

ჯიბის სიცალიერეს აკაკი შეჩვეული იყო: ძალიან ხშირად ჯიბეში ფული არა ჰქონია. ხანდისხან სხვა და სხვა ადგილებიდან დახმარებას აძლევდნენ. ზოგნი იმასაც იტყოდნენ ხოლმე, აკაკის კაი პენსია აქვსო. ასეთ ლაპარაკს აკაკიმ მიუმატა ერთხელ: ვიდრე მე პენსიას მომცემდენ, მე გამგუდავს ინფლუენციაო. მართ-

---

*) ეს წერილი უკვე აწყობილი იყო, როდესაც საგარეჯიდან მივიღეთ სიტყვა ალ. არ—ისა და წერილი ნ. ყან--ისა. უადგილობის გამო ვერ დაიბეჭდება. **რედ.**

ლაც ასე გახლდათ და მაზედ ბევრი ისმოდა, ბევრის ბევრი და საქმით კი არაფერი იყო.

იყო ისეთი დღენი და საათები, როცა აკაკის კონკის ფულიც არა ჰქონდა, სადილის სახსარი ხომ სულ მოსპობილი. აი, ასეთ დროს, ამისთანა დღეს კი მას თავი უნდა აელო და ძალაუნებურად ვისმეს მისდგომოდა კარზე სადილად. ასეთი შემთხვევები აკაკის ცხოვრებაში ხშირი იყო, რის გამოც არა ერთხელ იტყოდა ხოლმე: ასეთი წანწალისაგან ბევრი ძვირფასი დრო და დღენი იკარგებიან უბრალოდ ჩემს ცხოვრებაშიო.

ერთხელ, გოლოვინის ქუჩაზე, ერთს სასტუმროში იდგა. ერთ ღრუბლიან დღეს შინ იჯდა, ჯიბე ცარიელი. დღე დაილია თითქმის. ამ დროს ნომრის მსახური შევიდა და პატარა წერილი მისცა: წერილი წაიკითხა, ერთი მეგობარი სადილად იწვევდა, იგი დიდუბეში იდგა; აკაკის გაუხარდა, ადგა და მაშინათვე ფეხით გაუდგა დიდუბეს. როგორც იქმნა მივიდა მასპინძლისას, მაგრამ შინ არავინ დაუხვდა: აქ უთხრეს—ორი კვირაა რაც ეს პირნი სხვაგან გაემგზავრენო. აკაკი დარჩა სახტად. იქიდანაც წამოვიდა ფეხით, მოვიდა სახლში და აქ შეიტყო მსახურისაგან, რომ ეს წერილი ორი კვირის წინედ ყოფილიყო დატოვებული, მაგრამ მსახურს დავიწყებოდა ჯიბეში, რა კი ამ დღეს აკაკი შინ მჯდარიყო, მსახურსაც მოგონებოდა ეს წერილი და შეეტანა აკაკისათვის, ის კი არ ეთქვა მსახურს, თუ ეს წერილი როდის იყო მოტანილი.

ასეთ პირობებისა და თითქმის მაურის უქონლობისა გამო, იგი გაბრაზებული იყო და როცა სადმე ფულს მიიღებდა, მაშინვე თავის ჯავრს თითქმის ამ ფულზე ყრილობდა, ერთ დღესა და ღამეს გაათავებდა, ყოველივეს აქეთ-იქით ვალებში მისცემდა და მეორე დღეს ისევ ცარიელი იყო. ჯიბე გაბერტყილი კვლავინდებურად გაჭირვებაში. ზოგმა იქნება სთქვას, ეს რად შვრებოდაო? ვინც აკაკის წარსულს გაიცნობს და იმის ცხოვრების პირობებს შეისწავლის, რითაც იგი იყო გარემოცული, მაშინ იმას აკაკის ასეთი მდგომარეობა არ გააკვირვებს. პოეტის ცხოვრებაში ამ გარემოებას დიდი ყურადღება უნდა მიექცეს, თორემ უამისოდ მისი ბიოგრაფია ცარიელი ჩონჩხი იქნება.

ზ. ჭიჭინაძე

(შემდეგი იქნება)

ქართული სახიობა

ქართ. მსახ. ამხანაგობამ სახ. სახლში 22 მაისს წარმოადგინა ვ. ყიფიანის „სამეგრელოს მთავარი ლევან“.—პიესა რამდენათაც გარეგნული მხრით იყო ლაზათიანად დადგმული, იმდენად მისი შეგნებით განსახიერებაში მოისუსტებდენ მსახიობნი. საერთო ცოდვა გამოისყიდეს ნუცა ჩხეიძემ (ნინო) ი. ზარდალიშვილმა (არჩილ) და პ. კორიშელმა.

ამავე ამხანაგობამ სამშაბათს, 26 მაისს წარმოადგინა „სამშობლო“, ორივე წარმოდგენას დიდძალი ხალხი დაესწრო.

წინამძღვარი

ვაჟა ფშაველას საღამოს სახაზინო თეატრში 23 მაისს დიდძალი საზოგადოება მოიზიდა. სამწუხაროდ, საღამო ისეთი შინაარსიანი ვერ გამოდგა, როგორც ვაჟას პატივისცემას შეეფერებოდა. გრ. რობაქიძემ წარმოსთქვა ვრცელი სიტყვა (უმთავრესად „გველის მჭამელი“ განიხილა), შავერზიშვილის ასულმა ქართული რომანსები იმღერა, ივ. სარაჯიშვილმა ჩვეულებრივი ჰანგები, მ. კავსაძემ—გაცვეთილი სიმღერები; თაგუნამ წაიკითხა იუმორისტ. ნაწერი: „როგორ გავითქვი სახელი ვაჟა ფშაველას საღამოზე“. ნ. ერისთავმა და გრ. რობაქიძემ—ვაჟასავე ლექსები წარმოსთქვეს,—

ვაჟას გამოსვლას საზოგადოება ფეხზე ადგომით და ხანგრძლივი ტაშით შეხვდა. სიტ.-კაზ. საზ—ის მხრით გრ. რცხილაძემ მოკლე სიტყვით მიმართა, მერე დაფნის გვირგვინი მიართვა, რომლის შემდეგაც ვაჟამ სამიოდე ლექსი წარმოსთქვა ისევე დინჯად და სადადათ, როგორც მისი პოეზიაა. **მ—ე.**

სახალხო სახლში ორშაბათს, 25 მაისს წარმოდგენილი იქმნა „დღენი ჩვენი ცხოვრებისა“. პირველი ორი მოქმედება მხატვრულად იყო დადგმული, ეფექტებით, განსაკუთრებით სინათლის ცვალებადობა და ზართა გუგუნი იყო მშვენიერი, მაგრამ პიესა მოისუსტებდა აღსრულების მხრით: ქ—ნი კახელი ეტყობა ჭკვიანი, გამოცდილი სცენის მოყვარეა, თავიც თავისუფლად უჭირავს, მაგრამ ქართულს ისე ლაპარაკობს, თითქო რუსია და ქართული ჯერ კიდევ ვერ გაუკვეთნიაო, გარდა ამისა—ვერც ვნებააშლილი ხვევნა-კოცნა გამოჰხატავს ოლგა ნიკოლაევნას. ს. ბეჟანიშვილმა შეჰქმნა ნამდვილი ევდოკია, გადაჭარბებას-კი რომ ერიდოს, უჯობს. სოსო რომანიშვილი (ონუფრი) და სხ. უკეთესნი იქნებოდენ, რომ როლები სცოდნოდათ.—ხალხი ნაკლებად დაესწრო.

—ლი

დ. სურამში, შაბათს, მაისის 23-ს, ადგილ. დრ. საზ—მ, კლუბის დარბაზში წარმოადგინა ა) „პირველი და უკანასკნელი კოცნა“, დრ. 1 მოქ. ბ) „უბედური დებიუტი“ ვოდ. 1 მოქ. გ) „მე მოკვდი“ კომ. 1 მოქ. დასასრულ—დივერტისმენტი. დრამაში

ფედიას როლი საუცხოვოდ შეასრულა ახალგაზდა ნიჭიერმა სცენის მოყვარემ გრ. სულიაშვილმა, რომელმაც სავსებით გადმოგვცა კატორგიდან გამოქცეულ ფედიას სულისკვეთება. დაკვირვებით და თავისუფლად თამაშობდა ნ. ყაჭეიშვილისა (მანია). „უბედურ დებიუტში" ბევრი აცინა დამსწრე საზოგადოება ქეთო კალაძემ. თამაშობდა მოხდენილად და ყოველივე მისი მიმიკაც კი საზოგადოებაში დაუსრულებელ სიცილს იწვევდა. (სხვა როლებშიაც გვინახავს მისი მოხდენილი თამაში, ეტყობა უტყუარი ნიჭი. საჭიროა ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს მას დრამატ. საზ—ბამ). ვოდევილში „მე მოვკვდი" ნიკო სიხარულიძემ ძალზე ბევრი აცინა საზოგადოება თვის მოხდენილი თამაშით დუდე ძნელაძე მეგობრის როლში ნამდვილი „ახალ მოდის" მეგობარი იყო! წარმოდგენას დეფექტებიც ჰქონდა, მაგ. საერთო ანსაბლის სისუსტე, უშნო დეკორაციები, არა თანასწორი განათება სცენისა და სხვა. დარბაზში (უმეტესად უკანასკნელ რიგებში) არაჩვეულებრივი ხმაურობა და უადგილო სიცილი იყო, რაც ძალიან ცუდად მოქმედობდა მსახიობებზე. საზოგადოება ბლომად დაესწრო წარმოდგენას. ვუსურვებთ მეტ სიცოცხლესა და სიფხიზლეს.

მილოზი

სად. აჯიკაბული ბაქოს გზაზედ ერთ უმთავრის სადგურად ითვლება. აქ მრავლად იმყოფებიან რკინის გზის მოსამსახურე ინტელიგენტნი, რომელთაც ამ ერთი წლის წინად გამართეს პატარა, მაგრამ კოხტა თეატრი (50 სულს იტევს). სცენა ღარიბია, ქალების ნაკლულოვანებაც ემჩნევათ, მაგრამ, მიუხედავად ამ დაბრკოლებათა, მეთაურებმა დიდი მხნეობა —მეცადინეობა გამოიჩინეს და ერთი წლის განმავლობაში თორმეტი ქართულ-რუსული წარმოდგენა გამართეს. ეს გარემოება ნათელჰყოფს, რომ საქმის ჭირისუფალნი—კ. ჩაჩიბაიას, ვლ ჩეპურნოვს, ივ. ჩხიკვაძეს, კ. კორძაიას, გ. ტრაუტვეინს, ან. ელიოზიშვილს, ივ. გაჩეჩილაძეს, ბ მიხაილოვს, კ. იაშვილს და სხ შესაფერისი ღვაწლი დაუდვიათ და, თუ სხვა და სხვა მიზეზებისა გამო, ჩვეულებრივ, შეხედულებას არ შეიცვლიან, მიზანს მიაღწევენ და თეატრის ისტორიაში სათანადო ადგილსაც დაიჭერენ... უმთავრესი ყურადღება უნდა მიაქციონ შერჩეულ, შესაფერის პიესების დადგმას და თავის შრომის ნაყოფს მაშინ უფრო კეთილ ჰყოფენ.

მოკეთე

წვრილი ამბები

დღეს, 30 მაისს ნინო ჩხეიძის წარმოდგენაა სახალხო სახლში. ჩვენის სცენის დამამშვენებელს წარმოსადგენად აურჩევია ცნობილი პიესა „ჯიოკონდა", რომელიც ტფილისში ჯერ არა დადგმულა. ამ პიესაში შეასრულებს სილვია სეტალას როლს, რომლის ერთ საუკეთესო აღმასრულებლად ითვლება. ლუჩიოს როლს შეასრულებს ალ. იმედაშვილი. ამ პიესაში, სხვათა შორის, მონაწილეობას მიიღებს პატარა მედეა ქორელიც—(ბეატას როლში).

ბაკურციხეში ელო ანდრონიკაშვილის, ნ. დავითაშვილისა და შალვა დადიანის მონაწილეობით აჭარლებისა და ქართული თეატრის ფონდის სასარგებლოდ 6 ივნისს წარმოდგენილ იქნება „უნიადაგონი", ვალ. შალიკაშვილისა

თბილისის ხელოსანთა კლუბში კვირას, 31 მაისს გაიმართება ხელოსან-მწერალთა სალიტერატურო დილა, ლექციით და საკონცერტო განყოფილებით

სანდრო კავსაძის ლოტბარობით და კოტე ფოცხვერაშვილის მონაწილეობით კონცერტი გაიმართება სახალხო სახლში 3 ივნისს, ოთხშაბათს.

ქ. შ. წ. კ. ი—ის სასარგებლოდ დიდი სახალხო სეირნობა ლატარიითა და ამერიკული ბაზრით გაიმართება მომავალ კვირას, 7 ივნისს. საზოგადოების გამგეობა დიდის ამბით ემზადება ამ სეირნობის გასამართავად, შემოსავლის 10% გადაიდება წმ. ნინოს ლაზარეთის, ხოლო 90%—საზოგადოების ქონების გასაძლიერებლად. იმედია საზოგადოება ჩვეულებრივის თანაგრძნობით მოეპყრობა ამ ჩვენს ერთად ერთ დიდ კულტურულ საზოგადოების სასარგებლოდ გამართულ სეირნობა -ბაზარს.

ხაშურის ქართ. დრამ. წრის სცენა 1 ივნისიდან საზაფხულო თეატრში ადგილობრივ ბაღში) გადადის. იქავე იქნება პროჟექტორი. საგასტროლოდ მოწვეულნი არიან ი. ზარდალიშვილი და ა. შოთაძე

ს. ფაშალიშვილის სალამო თელავში გაიმართება 3 ივნისს ფრიად საყურადღებო შინაარსით. სალამოს დიასახლისობს კნ ელ. ივ. ჭავჭავაძისა, მონაწილეობას მიიღებენ: კ აბაშიძე, ოსიკო ბარათაშვილი, ნინო დავითაშვილი, მ ჭიაურელი, ს. ფაშალიშვილი, მეთარე სალირაშვილი, მომღერალი ი. შაშიანელი და სხ.

ნაძალადევის თეატრში კვირასალამოს კ. მესხის ხსოვნის აღსანიშნავად წარმოდგენილი იქნება მისივე პიესა „ბაგრატ მეფოხე".

„არტისტიულ საზოგადოების თეატრი", როგორც მოსკოვიდან გვატყობინებენ, შემოდგომიდან დაიწყება მოსკოვს ცნობილმა მსახიობქალმა ა. ვ. ვასილჩიკოვმა და საიმპ. თეატრთა მსახიობმა დობროვოლსკიმ რეჟისორად მოწვეულია მოსკოვის სამხატვრო თეატრის ცნობილი მსახიობი ს. ნ. ვორონოვი.

აჭარელთა შესახებ ამ მოკლე ხანში გამოიცემა „თეატრი და ცხოვრების" საგანგებო ნომერი.

Дозволено Военной Цензурой.

რედაქტორ-გამომცემელი **ანნა იმედაშვილისა**

მიიღება ხელის მოწერა.

ამა 1915 წ. ენკენისთვიდან გაჩნდება სალიტერატურო, სამეცნიერო და საპოლიტიკო ყოველთვიური ჟურნალი

„ახალი მოამბე“

ჟურნალი პარტიათა გარეშეა, დემოკრატიულ-პროგრესიული მიმართულებისა

ჟურნალში უმახლობელეს მონაწილეობას მიიღებს ივანე სპ. ელიაშვილი, თანამშრომლებად მოწვეულნი არიან ჩვენი ცნობილნი მწერალნი

ჟურნალში დასაბეჭდად მოწონებულ ნაწარმოებთა ავტორებს მიეცემათ შესაფერი ჰონორარი

პირველი ნომერი გამოვა ენკენისთვის 20—25—დე, ზომით 15—20 ფორმამდე

რედაქციის ბინა: თბილისი. ყაზბეგის ქუჩის შესახვევი № 4. ფოსტით: Тифлисъ, ред. груз. жур „Ахали Моамбэ“.

ფასი: წლიურად 10 მ., ნახევარი წლით—6 მ., ხოლო ამა წლის ენკენისთვიდან ქრისტეშობისთვის გასვლამდე—4 მან. ფული უნდა გამოიგზავნოს: Тифлисъ, редакція груз. жур. „Ахали Моамбэ“ Ивану Спир Элиашвили.

რედაქტორ-გამომცემელი ნინო ბეუ. ყიფიანისა

მიიღება ხელის მოწერა 1915 წ.

ყოველ-დღიური სალიტ. და საპოლიტიკო გაზეთი

„სახალხო ფურცელი“

(კვირაობით) სურათებიანი დამატებით (კვირაობით)

გამოვა იმავე პროგრამით, როგორც 1914 წ.

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით 4 მ. 50 კ. 3 თვით 2 მ. 25 კ. ერთი თვით 75 კ.

ცალკე № მაურად, დამატებიანი 7 კ.

საზღვარ-გარედ თვეში ზედმეტი 50 კ. — ადრესის გამოსაცვლელი ფასი: თბილისისა თბილისს გარეშე, ან თბილისის გარეთისა ისევ თბილისის გარეთისაზე 40 კ. დანარჩენ შემთხვევებში უფასოა.

წლიურ ხელის მომწერთ გაზეთის ფასი 8 მ. 50 კ.

შეუძლიანთ გადაიხადონ ნაწილობით:

ხელისმოწერისთანავე 3 მ., 1 აპრილამდე 2 მ., 1 თიბათვემდე და დანარჩენი 1 მ. 50 კ. 1 ენკენისთვემდ. გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.

ხელის მოწერა მიიღება: „სახალხო ფურცელის“ კანტორაში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახლი. (შესავ. ეზოდან), 2) ქ. შ. წ.-კ. საზ. მთავარ გამგეობის წიგნის მაღაზიაში, 3) ქუთაისში გიგლა მებუკესთან.

ფოსტით: Тифл., газ. »Сахалхо Пурцели«, почт. ящ. № 190.

ქ. თბილისში გამოდის ყოველკვირეული იუმორისტული ვამოცემა

ეშეკის ამორაკი

ჟურნალის საბუტერო და სალიტერატურო მხარეს განაგებენ ეშეკ თაგუნა, ხოლო გამოცემის საქმეს ა ბ ბუკია

თანამშრომლები: ავდბერიანი, ბადაგაძე, ეშეკ, ეშეკ, ეშეკ

ახალი გამოცემა

ყველასათვის საჭირო და სასარგებლო წიგნი

უცხო სიტყვათა სრული ლექსიკონი

ანუ ქართულს ენაში შემოსულ უცხო სიტყვათა ახსნა-განმარტება

შედგენილი იოსებ იმედაშვილის მიერ

მეორეჯ შევსებულ-შესწორებული (პირველ გამოცემაზე ბევრად გადიდებული). წიგნში ახსნილ-განმარტებულია სამოც ათასამდე (60000), უცხო ენათაგან (ფრანგულ. ინგლისურ, ლათინურ და სხ.) შემოსული, სიტყვა და ანდაზა. წიგნი შეიცავს ათას ექვსას სვეტამდე, მოზრდილი ზომისაა, აწყობილი იქნება ახალი კორპუსის მთავრული და ჩვეულებრივი ასოთი, ჩასმული ინგლისურ საუკეთესო კალენკორის ყდაში, მოოქროვილ-მოვარაყებულ ასო არშიებით შემკული. ვინც ისურვებს, წიგნზე დაიბეჭდება მისი სახელგვარის პირველი ასოები.

ხელისმომწერთათვის გაგზავნით ღირს **ორი** (2) **მანათი** (ფულის გადახდა შეღავათითაც შეიძლება: ხელის მოწერის დროს 1 მან., დანარჩენიც—წიგნის გამოსვლის ჟამს.

ხელის მოწერა მიიღება: ჟურ. **„თეატრი და ცხოვრების“** რედაქციაში („სორაპანი“-ს სტამბაში). **ფოსტით:** Тифлисъ. Ред. **„Театри да Цховреба“ Іос. Имедашвили.**

თევზის მრეწველნი

ძმ.

ძეგველოვები

პუშკინის ქუჩა, საკუთარი სახ № 9

ტელეფონი № 71-2.

განყოფილება

ავლაბარში

ფოსტის განყოფილების ქვეშ

საკუთარ სახლში

იყიდება

იმავე ხარისხის

საქონელი

როგორც პუშკინის ქუჩაზე

ნომრები „ავრორა“

ახლად შეკეთებული, საუცხოვოდ მოწყობილი, სუფთა, ელექტრონის სინათლით ქალაქის შუაგულს, ვორონცოვის ძეგლთან. **ნომრები ოთხი აბაზიდან.** ნომრებში სამზვარეულო, ცხელი და ცივი წყლით საბანოებით (დუში და ვანნა).

თბილისი. მიხეილის პროსპ. № 5.

ტელეფ. 13—14 (წ)